

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოსაზრება შპს აუდიტ ეკონომიკის მიერ  
2020 წლის 17 იანვარს მიერ დავების განხილვის საბჭოში წარდგენილ საჩივართან  
დაკავშირებით (ელექტრონულ ტენდერზე **NAT200000441**)

შპს აუდიტ-ეკონომიკის მიერ 2020 წლის 17 იანვარს საჩივრით მიმართა დავების განხილვის საბჭოს აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერის - NAT200000441 სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

შპს აუდიტ-ეკონომიკის აღნიშნავს, რომ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 10 იანვრის #1 ოქმით მიღებულ იქნა (NAT200000441) სატენდერო დოკუმენტაცია, რომლის 2.7.1.პუნქტის მიხედვით არის შემდეგი ჩანაწერი: „პრეტენდენტი რეგისტრირებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორების ან აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში, ვებგვერზე [saras.gov.ge](http://saras.gov.ge), რაზედაც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სატენდერო წინადადებასთან ერთად“. რაც ნიშნავს იმას რომ დაწესებულება შესყიდვაზე ავრცელებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონს. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი: კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას. აღნიშნული კანონი არ წარმოადგენს ამ შესყიდვისთვის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შპს აუდიტ-ეკონომიკის მოითხოვს გაუქმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 10 იანვრის #1 ოქმით მიღებული (NAT200000441) სატენდერო დოკუმენტაცია, რომლის 2.7.1.პუნქტის მიხედვით “პრეტენდენტი რეგისტრირებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორების ან აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში, ვებგვერზე [saras.gov.ge](http://saras.gov.ge), რაზედაც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სატენდერო წინადადებასთან ერთად“. როგორც კანონ საწინაამდგომლო ჩანაწერი.

სამინისტრო მიიჩნევს, რომ საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოსაზრებების გამო:

1. როგორც მოგეხსენებათ ელექტრონული ტენდერი გამოცხადებულია აუდიტორული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, კერძოდ სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 პუნქტის 1 ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთით უძრავი და მოძრავი ქონებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელზე

რეგისტრირებული წილებისა და აქციების საბაზრო ღირებულებების განსაზღვრის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საზოგადოებებში კაპიტალში ცვლილებისათვის საჭირო აუდიტორული დასკვნების მომზადება არაუმეტეს 150 (ასორმოცდაათი) ერთეულისა. აქ საუბარია, როგორც უძრავი და მოძრავი ქონებების, ასევე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების (შპს -ბის) წილებისა და აქციების საბაზრო ღირებულებების განსაზღვრა და მოქმედ საზოგადოებებში კაპიტალში ცვლილებისათვის საჭირო აუდიტორული დასკვნების მომზადება. სწორედ ამიტომ სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შპს-ებში წილების, აქციების და კაპიტალში ცვლილებების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის დროს პრეტენდენტისთვის მოეთხოვა აუდიტორული ფირმა, ან აუდიტორი რეგისტრირებული ყოფილიყო ვებგვერდზე [saras.gov.ge](http://saras.gov.ge).

2. უნდა აღინიშნოს, რომ შპს-ის, სს-ის და სხვა იურიდიული პირების (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებისა) აღრიცხვა წარმოებს საქართველოსში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ვებგვერდ [saras.gov.ge](http://saras.gov.ge)-ზე რეგისტრირებულია ის პირები, რომლებსაც კანონის შესაბამისად უფლება აქვთ დადონ მარწმუნებელი გარიგება და გასწიონ შესაბამისი მომსახურება.
3. აუდიტორული მომსახურების შესყიდვა (შეფასება), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ ტარდება მხოლოდ უძრავ-მოძრავ ქონების შეფასებაზე, ტენდერი გამოცხადებულია ასევე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების (შპს -ბის) წილებისა და აქციების საბაზრო ღირებულებების განსაზღვრაზე და მოქმედ საზოგადოებებში კაპიტალში ცვლილებისათვის საჭირო აუდიტორული დასკვნების მომზადებაზე, შესაბამისად მართალია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი: კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებმა საერთოდ მხედველობაში არ მიიღოს, ან არ გამოიყენოს ამ კანონით განსაზღვრული ესა თუ ის მოთხოვნები აუდიტორების მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში შპს აუდიტ-ეკონომიქსიმ განგვიმარტოს თუ სხვა რომელი კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს იმ აუდიტორების უფლებამოსილება, რომელიც ეხება მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტროს მიაჩნია, რომ შპს აუდიტ-ეკონომიქსის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.